საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

GRASS
REFORMAMUS
სამოქ. „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 226
თარიღი 29 09 2014 წ.

MOA 0 14 00040721

24/09/2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს,
ბატონ სერგი კაპანაძეს
თბილისი, რაზმაძის ქ.#15

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 15 სექტემბრის #616 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე სახელმწიფო სუბსიდიები შესყიდულ ვაშლზე არ განხორციელებულა. ასევე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს პირველად განხორციელდა არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშემწყობი პროექტი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის #1524 განკარგულების (2014 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ) თანახმად ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმართ გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 3 000 000(სამი მილიონი) ლარი, რომლის მიზნობრიობად განისაზღვრა 2014 წლის არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა.

სააგენტო არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც 20.11.14 - მდე 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდიან არანაკლებ 0.10 ლარად, გასცემს სუბსიდიას 1კგ. არასტანდარტულ ვაშლზე 0.08 ლარის ოდენობით.

22 სექტემბრის მონაცემებით, ხილის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ ჯამში მიღებულია 4969 ტონა, სუბსიდიის თანხამ კი შეადგინა - 366 422 ლარი. არასტანდარტულ ვაშლს იბარებს 5 კომპანია : შპს ჯეო-კონცენტრატი (420 ტ), შპს სამეგობრო (1992 ტ), შპს ბიოჯუსი (1053 ტ), შპს გეოფრუტი (662 ტ), შპს ნატურალ 7 (842 ტ).

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე
ნანა ჩინჩილაკაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia. Phone/Fax: +(995 32) 2378013